თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. ბათუმი „ 24 “ თებერვალი“ 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01/14

თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენისა და „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი – მარინე ბერიძე.

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი – ბადრი წულუკიძე.

3. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის თანდართული სამსახურებრივი ინსტრუქცია.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს დაევალოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის შეგროვება და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურისათვის მიწოდება, ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს დაევალოს ამ პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება (საკრებულოს ვებ-გვერდზე განთავსება).

5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ქ. ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებითა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქციით.

6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „ქ. ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებით.

7. „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №95 ბრძანებულების მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურის ტელეფონი.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსა-ხურის დადგენისა და „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ თვითმ-მართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 5 იანვრის №2 ბრძანება.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი ჩავლეიშვილი